რა უნდა ვიცოდეთ ბავშვთა ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგის შესახებ

რა არის ბავშვთა ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი?

ბავშვთა ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ბავშვთა ექსპლუატაციის დროს ხდება ბავშვის გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, მისი ნების საწინააღმდეგოდ ან მოსყიდვით.

ბავშვთა ექსპლუატაციის მაგალითებია: ბავშვისთვის მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულების ან შეუფერებელი ურთიერთობების დამყარების იძულება, ბავშვის სამათხოვროდ გაშვება, ასევე, შიშველი ბავშვისთვის ფოტოების გადაღება და სხვა.

ექსპლუატაციის დროს ხდება ბავშვის დამცირება, შეურაცხყოფა, გარყვნა, მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე ექმნება.

ბავშვთა ტრეფიკინგი ნიშნავს ბავშვის გადაბირებას და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას, შემდგომში მისი ექსპლუატაციის მიზნით.

ბავშვის ექსპლუატაცია შეიძლება მოხდეს, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ასევე ინტერნეტის და სოციალური ქსელის გამოყენებით.

ყველა შემთხვევაში, ბავშვთა ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი დანაშაულია!

როგორ მოქმედებს მოძალადე?

ექსპლუატაციასა და ტრეფიკინგში ბავშვის ჩასართველად, თავდაპირველად მოძალადე ცდილობს ბავშვის „მოხიბვლას“, საჩუქრებით მოსყიდვას, მიმზიდველი შეთავაზებებით ცდუნებას. ხშირ შემთხვევაში ბავშვთან დაახლოებისთვის ინტერნეტი გამოიყენება.

უცნობი ადამიანი ბავშვს „კარგ ადამიანად“ აჩვენებს თავს და მასთან დაახლოებას ახერხებს.

ბავშვის ნდობის და კეთილგანწყობის მოპოვების შემდეგ კი მოძალადე მის სრულ დამორჩილებასა და გამოყენებაზე გადადის.

როგორ უნდა დაიცვას ბავშვმა თავი ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგისგან?

ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგისგან თავის დასაცავად, აუცილებელია, ბავშვმა აითვისოს სხვადასხვა სიტუაციებში უსაფრთხო ქცევის წესები:

1. ვინმესთან ერთად წასასვლელად, ყოველთვის ითხოვოს ნებართვა მშობლისგან, მასწავლებლებისგან ან იმ ადამიანისგან, ვინც მასზე ზრუნავს და მის უსაფრთხოებაზე პასუხს აგებს;
2. არ უთხრას უცნობს თავისი სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, სახლის ან სკოლის მისამართი; არ ჩაუჯდეს მას მანქანაში, არ გამოართვას საჩუქარი;
3. არ შეხვდეს ტელეფონით ან ინტერნეტით გაცნობილ ადამიანებს - ინტერნეტით ურთიერთობისას ადვილია სასურველ და საინტერესო ადამიანად, თუნდაც ბავშვად თავის მოჩვენება;
4. მოერიდოს უცხო ქუჩებს, შენობებს, პარკებს და სხვა უცხო ადგილებს; უცნობებთან ერთად არ შევიდეს ლიფტსა და სადარბაზოში,
5. ყოველთვის ახსოვდეს შეხების წესი: მისი სხეულის იმ ნაწილებზე შეხება, რომლებსაც საცვალი ფარავს, შეუძლიათ მხოლოდ მშობელს ან ექიმს, სისუფთავის დაცვის ან მკურნალობის მიზნით.

ვის შეიძლება მიმართოს ბავშვმა, თუ მისი ექსპლუატაცია ან ტრეფიკინგში ჩაბმა სცადეს?

იმ შემთხვევაში, თუ სცადეს ბავშვის ექსპლუატაცია ან ტრეფიკინგში ჩაბმა, მან უნდა იცოდეს, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც მისი დახმარება შეუძლიათ. ეს შეიძლება იყოს მშობელი, ოჯახის წევრი, მეგობარი, მასწავლებელი და სხვა.

მნიშვნელოვანია, ბავშვმა მისთვის სანდო ადამიანს დროულად უამბოს მომხდარის შესახებ, რათა ამ ადამიანმა მისი დახმარება შეძლოს.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი სანდო ადამიანი ბავშვის გვერდით არ მოიძებნა, მას შეუძლია დახმარებისთვის მიმართოს ბავშვთა დაცვის სამსახურს ან პოლიციას.

ასევე - დაუყოვნებლივ დარეკოს შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:

გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზი 112

ბავშვთა დახმარების ხაზი 111 116

ჯანდაცვის ცხელი ხაზი: 1505

პუბლიკაციის ტექსტი მომზადებულია თბილისის N123 საჯარო სკოლის და ბათუმის საერო ელიტარული სკოლა „გორდას“ მოსწავლეთა მიერ შემუშავებული მასალების მიხედვით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ორგანიზებით.

Ministry of Foreign Affairs of the Netherlands

პუბლიკაცია მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით პროექტის „შევამციროთ ბავშვზე სექსუალური ძალადობა, განსაკუთრებით ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია მოგზაურობის და ტურიზმის დროს აფრიკის, აზიის, ევროპის და ლათინური ამერიკის 25 ქვეყანაში“. პროექტს ახორციელებს Defence for Children – ECPAT The Netherlands, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდთან პარტნიორობით.

Publication was made possible with the support of Ministry of Foreign Affairs of The Netherlands in the frame work of the project „Reducing sexual violence against children, with special attention for sexual exploitation of children in travel and tourism, in 25 countries in Africa, Asia, Europe, Latin America and the Middle East“ implemented by Defence for Children – ECPAT The Netherlands in partnership with the Public Health Foundation of Georgia.

PHF

DEFENCE for CHILDREN The Netherlands

ecpat